საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

22 აპრ 2025 წ.

KA000032931786625

№ **25/3174**

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ პაატა სალიას

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

N8 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრების გასეირნების უფლებით სარგებლობის შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო პაატა,

მოგეხსენებათ, რომ 2024 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა N8 პენიტენციური დაწესებულების შემოწმების საჭიროებას, პატიმრებისთვის სეირნობის უფლებით სარგებლობის პრობლემის მიმართულებით და იუსტიციის მინისტრისადმი გასცა რეკომენდაცია, რათა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს დაევალოს სისტემური შემოწმების ჩატარება N8 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების გასეირნების უფლებით სარგებლობის საკითხის შესასწავლად.[1]

სამწუხაროდ, ამ სავარაუდო სისტემური პრობლემის საილუსტრაციო შემთხვევა გამოიკვეთა მიმდინარე წელსაც, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ ორ პატიმართან მიმართებით. კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა N8 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ბრალდებულების - [redacted] და [redacted] განცხადებები, მოიპოვა და შეამოწმა საქმესთან დაკავშირებული ყველა რელევანტური და ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის - ვიდეოჩანაწერი. ყოველმხრივი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დარღვეულია პატიმრების გასეირნების უფლება. N8 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული ეს პრობლემა საჭიროებს დროულ რეაგირებას, პრაქტიკის შესაცვლელად და კანონმდებლობით გარანტირებული უფლების შეუფერხებელი რეალიზებისთვის.

ფაქტობრივი გარემოებები

სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრისას,[2] ბრალდებულმა [redacted] რომელიც საექსტრადიციო პატიმრობაში იმყოფება, მიუთითა, რომ გასეირნების უფლებით სრულყოფილად ვერ სარგებლობდა, ზოგჯერ კი, იგი საერთოდ არ გაყავდათ სასეირნო სივრცეში და 24 საათის განმავლობაში იმყოფებოდა საცხოვრებელ საკანში.

ზემოაღნიშნული გარემოებების გადამოწმების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი

[redacted] სასეირნო სივრცეში განთავსებული ვიდეოჩანაწერების დაარქივება.[3]

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[4] დაარქივდა 2025 წლის 06 იანვრიდან 15 იანვრამდე პერიოდის ჩანაწერები, ვინაიდან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანების მე-15 მუხლის შესაბამისად, N8 პენიტენციური დაწესებულების სამოქმედო ტერიტორიაზე გადაღებული ვიდეომასალა ინახება არანაკლებ 10 დღე.

2025 წლის 10 მარტს სახალხო დამცველის რწმუნებულმა დაათვალიერა სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 პენიტენციურ დაწესებულებაში იმ საცხოვრებელი საკნის გარე სივრცის ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელშიც [redacted] იმყოფებოდა. აგრეთვე, დათვალიერდა სასეირნო სივრცის შიდა და გარე ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელშიც [redacted] იმყოფებოდა გასეირნების პერიოდში. დაარქივებული ჩანაწერები ასახავდა 06-15 იანვრის პერიოდს.

დათვალიერების შედეგად გაირკვა, რომ [redacted] მოცემულ ათივე დღეს ისარგებლა გასეირნების უფლებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 06-15 იანვრის პერიოდში იყო რამდენიმე დღე, როდესაც [redacted] გასეირნებისთვის განკუთვნილი დროის სრულად გამოყენების შესაძლებლობა არ მიეცა და ის დასრულდა კანონით გათვალისწინებულ ვადაზე (სეირნობის დრო უნდა იყოს არანაკლებ 1 საათი) ადრე. კერძოდ:

1. 06 იანვარს ის სასეირნო სივრცეში იმყოფებოდა 07:29-08:40 საათის პერიოდში (1 საათი და 11 წუთი);
2. 07 იანვარს ის სასეირნო სივრცეში იმყოფებოდა 08:04-08:47 საათის პერიოდში (43 წუთი);
3. 08 იანვარს ის სასეირნო სივრცეში იმყოფებოდა 08:00-09:04 საათის პერიოდში (1 საათი და 4 წუთი);
4. 09 იანვარს ის სასეირნო სივრცეში იმყოფებოდა 08:04-09:03 საათის პერიოდში (59 წუთი);
5. 10 იანვარს ის სასეირნო სივრცეში იმყოფებოდა 07:54-08:47 საათის პერიოდში (53 წუთი);
6. 11იანვარს ის სასეირნო სივრცეში იმყოფებოდა 07:52-08:51 საათის პერიოდში (59 წუთი);
7. 12 იანვარს ის სასეირნო სივრცეში იმყოფებოდა 08:02-08:49 საათის პერიოდში (47 წუთი);
8. 13 იანვარს ის სასეირნო სივრცეში იმყოფებოდა 07:55-08:26 საათის პერიოდში (31 წუთი);
9. 14 იანვარს ის სასეირნო სივრცეში იმყოფებოდა 07:59-09:07 საათის პერიოდში (1 საათი და 8 წუთი);
10. 15 იანვარს ის სასეირნო სივრცეში იმყოფებოდა 08:02-09:04 საათის პერიოდში (1 საათი და 2 წუთი);

ვიდეოჩანაწერების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ 2025 წლის 07, 10, 12 და 13 იანვარს, [redacted] გასეირნების უფლებით ისარგებლა კანონმდებლობით განსაზღვრულ მინიმალურ ვადაზე (1 საათი) ნაკლები დროით. აღნიშნული არ წარმოადგენდა უმნიშვნელო სხვაობას, ვინაიდან მინიმალური დანაკლისი შეადგენდა 07 წუთს, ხოლო მაქსიმალური კი - 29 წუთს. ჯამში, მოცემულ 4 დღეებში, აღნიშნულმა დროითმა დანაკლისმა შეადგინა 1 საათი და 6 წუთი.

ვიდეოჩანაწერების დათვალიერებისას გაირკვა, რომ [redacted] ერთად, 06-15 იანვრის პერიოდში სასეირნო სივრცეში იმყოფებოდა აგრეთვე სხვა პატიმარიც - [redacted] ორივე მათგანი პარალელურად, ერთსა და იმავე დროსა და სივრცეში სარგებლობდა გასეირნების უფლებით და 07, 10, და 12 იანვარს სასეირნო სივრცეში [redacted] თან მიმართებით იგივე გარემოებები გამოიკვეთა [redacted] მიმართებითაც. [redacted] ამ პერიოდის განმავლობაში, მხოლოდ ერთხელ - 13 იანვარს იმყოფებოდა მარტო სასეირნო სივრცეში.

ვიდეოჩანაწერების თანახმად, სასეირნო სივრცეში [redacted] სპორტული აქტივობებით იყვნენ დაკავებული და აღნიშნული უწყვეტ ხასიათს ატარებდა მანამ, სანამ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის მიერ გაიღებოდა სასეირნო სივრცის კარი და შედეგად, მათ მოუწევდათ სივრცის დატოვება. კერძოდ, ისინი წრეს არტყავდნენ სასეირნო ოთახს კედელ-კედელ, ასევე იყენებდნენ სავარჯიშო ხალიჩას გარკვეული ვარჯიშების შესასრულებლად.

დაარქივებულ ვიდეო მასალაში არცერთ დღეს არ ფიქსირდება ისეთი შემთხვევა, როდესაც ბრალდებულებმა თავად შეწყვიტეს ფიზიკური აქტივობა და დაუძახეს ბადრაგს, ან კართან მივიდნენ და დააკაკუნეს. ყველა შემთხვევაში გასეირნებისთვის განკუთვნილი დროის ვადაზე ადრე შეწყვეტა უკავშირდებოდა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის მიერ კარის გაღებას და მათ გაყვანას.

ნიშანდობლივია, რომ 07, 10, 12 და 13 იანვარს, როდესაც კარი გაიღო, [redacted] ყოველ ჯერზე დახედა საათს (სავარაუდოა, რომ დროის ნაკლებობის გამო, მან გადაამოწმა საათი). გარდა 13 იანვრისა, როცა არცერთი ბრალდებული არ შესულა რაიმე დისკუსიაში პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთან და დაემორჩილა მათ მითითებას. რაც შეეხება 13 იანვარს, ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ [redacted] საათზე იყურება და აჩვენებს აღნიშნულს თანამშრომელსაც, ისინი დაახლოებით 1 წუთი საუბრობენ, რის შემდგომაც [redacted] ბრუნდება სასეირნო სივრცეში, აგრძელებს ვარჯიშს, თუმცა 2 წუთის შემდგომ, ის მაინც გაჰყავთ.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა N8 პენიტენციურ დაწესებულებას,[5] რათა მიეღო ინფორმაცია, 07, 10, 12 და 13 იანვარს გასეირნების პერიოდში (დღის საათებში) [redacted] ჰქონდა თუ არა რაიმე შეხვედრა/ვიზიტი დაწესებულების შიგნით ან გარეთ, რათა გარკვეულიყო ხომ არ იყო სეირნობის დროის ვადაზე ადრე შეწყვეტა გამოწვეული რაიმე ობიექტური გარემოებით.

N8 პენიტენციური დაწესებულების პასუხის თანახმად, ზემოთ დასახელებულ დღეებში [redacted]ს დაწესებულების გარეთ ვიზიტი არ ჰქონია, ხოლო დაწესებულებაში 1 შეხვედრა ჰქონდა 2025 წლის 13 იანვარს 11:20 საათიდან 13:55 საათმდე პერიოდში (ადვოკატთან და თარჯიმანთან).[6] ხოლო, რაც შეეხება [redacted] ის მითითებული თარიღებიდან მხოლოდ 2025 წლის 13 იანვარს იმყოფებოდა შეხვედრაზე 14:15 საათიდან 16:25 საათამდე პერიოდში.[7] გარე ვიზიტი კი მას მოცემულ თარიღებში არ უფიქსირდება.[8]

დღეებში არცერთხელ მიუმართავთ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლისთვის, რათა ვადაზე ადრე დაესრულებინათ გასეირნება. გარდა ამისა, ორივე მათგანმა აღნიშნა, რომ მსგავსი დროითი დანაკლისი არ წარმოადგენს იშვიათ გამონაკლისს, არამედ ის ზოგადი პრაქტიკაა N8 პენიტენციურ დაწესებულებაში, როგორც მათ, ისე სხვა პატიმრების მიმართ. სასეირნო სივრცეში ისინი სპორტული აქტივობებით იყვნენ დაკავებულები, მანამ, სანამ გაიღებოდა კარი, რის შემდგომაც ისინი ემორჩილებოდნენ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის მითითებას, რადგან ენის ბარიერის გამო, მასთან დისკუსიაში შესვლას თავს არიდებდნენ.

სამართლებრივი დასაბუთება

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ პატიმრები იმყოფებიან ხელისუფლების ორგანოების სრული კონტროლის ქვეშ, რის გამოც მოწყვლადები არიან და იმ საფრთხის ქვეშ დგანან, რომ მათ წინააღმდეგ ძალაუფლებას ბოროტად გამოიყენებენ.[10]

სახელმწიფოს ისედაც უპირობო უპირატესობა გააჩნია მის იურისდიქციას დაქვემდებარებული პირებისადმი, ხოლო ეს უპირატესობა და ძალაუფლება განსაკუთრებით მოჭარბებულია, როდესაც პირი იმყოფება სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ. ასეთ ძალაუფლებას სჭირდება შემაკავებელი ბერკეტები და კონტროლი. სწორედ ამიტომ, არსებითი მნიშვნელობისაა, რომ ყველა სახის თვითნებობა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება იყოს გამოვლენილი და რეაგირებული.

გაეროს პატიმრების მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტები ასევე აკეთებს მითითებას, რომ აუცილებელია პატიმარმა დღეში მინიმუმ 1 საათით ღია ცის ქვეშ გაისეირნოს.[11]

გარდა აღნიშნულისა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პატიმრების გასეირნების უფლების შეზღუდვა ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევაა და მას აქცევს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დაცულ სფეროში. მაგ.: საქმეში, სადაც პატიმრებს სისტემატურად უმცირებდნენ გასეირნების დროს, სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი მიდგომა არღვევს პატიმრის ღირსებას და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას.[12] ამდენად, ევროპული სასამართლო გასეირნების უფლების შეზღუდვას საკმაოდ მძიმე და სერიოზულ დარღვევად მიიჩნევს.

როგორც პენიტენციური კოდექსით, ისე N8 პენიტენციური დაწესებულების დებულებით, ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის გარანტირებულია გასეირნების უფლება.[13] ამასთან, კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს დღის განმავლობაში არანაკლებ 1 საათისა სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლება. ამდენად, მინიმალურ დროს წარმოადგენს 1 საათი. მაქსიმალური დრო კი, დადგენილი არ არის.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება განსაზღვრავს სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიცრებისა და რიგითების დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დისციპლინური სახდელების სახეებს, მოსამსახურისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდებისა და მოხსნის წესს.[14] მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთი სახეა სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება და მოსამსახურეთათვის დადგენილი ეთიკის ნორმების დარღვევა.[15]

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიცრებისა და რიგითების ქცევის ისეთ სტანდარტებს, რომლებიც შეესაბამება საჯარო ინტერესს.[16] კოდექსის მიზანია ისეთი ქცევის წესების დადგენა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსამსახურეთათვის პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას, სამსახურებრივ მოვალეობათა პროფესიონალურ შესრულებას, ადამიანის უფლებათა დაცვას, საზოგადოებაში ნდობისა და პატივისცემის განმტკიცებას.[17]

მოსამსახურეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მას საზოგადოების წინაშე აღებული აქვს საჯარო სამსახურისათვის დამახასიათებელი ეთიკური ვალდებულებები.[18] მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას ბრალდებულის/მსჯავრდებულის, სხვა პირების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები.[19] მოსამსახურის ხელმძღვანელი პირები ყურადღებით უნდა ადევნებდნენ თვალყურს, რომ მათი მოსამსახურეები სწორად ასრულებდნენ საკუთარ სამსახურებრივ მოვალეობებს. მათ უნდა გამოავლინონ და აღკვეთონ ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო ქმედება.[21]

ყოველი მოსამსახურე, მიუხედავად მისი ადგილისა სამსახურებრივ იერარქიაში, პირადად აგებს პასუხს თავის ქმედებებზე და იმ დავალებებზე, რომლებსაც ის აძლევს მასზე დაქვემდებარებულ პირებს.[22] მოსამსახურე, როგორც სახელმწიფო წარმომადგენელი, ვალდებულია წინ აღუდგეს აშკარად უკანონო ბრძანებას.[23] მოსამსახურის მიერ კოდექსის მოთხოვნების დარღვევა ჩაითვლება სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევად.[24]

წინამდებარე საქმის ანალიზი

ამრიგად, კანონმდებლობით უზრუნველყოფილი და გარანტირებულია ბრალდებულისთვის/ მსჯავრდებულისთვის დღეში მინიმუმ 1 საათიანი გასეირნების უფლება. აღნიშნული უფლება არსებითი მნიშვნელობისაა დახურული ტიპის დაწესებულებებში, ვინაიდან აქ განთავსებულ პატიმრებს 24 საათიან დღის მონაკვეთში 23 საათის გატარება საცხოვრებელ საკანში - დახურულ სივრცეში უწევთ. თავისმხრივ, საცხოვრებელი საკნები არ არის იმ ფართობის, რომ პირმა შეძლოს გარკვეული ფიზიკური აქტივობების თავისუფლად განხორციელება, სუფთა ჰაერის საკმარისად მიღება და სხვა. ამ დანაკლისის დასაკომპენსირებლად, პირები აღჭურვილნი არიან სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლებით.

აღნიშნულს აქვს თავისი მიზნობრიობა, კერძოდ:[25] ფიზიკური ჯანმრთელობა - უმოძრაობა ბევრი დაავადების მაპროვოცირებელი შესაძლოა გახდეს. ფსიქოლოგიური ელემენტი - ბუნებრივ გარემოში გასეირნება, მზის შუქზე ყოფნა, სუფთა ჰაერის მიღება ეხმარება ფსიქიკურ კეთილდღეობას. მუდმივად ჩაკეტილ სივრცეში ყოფნა იწვევს შფოთვისა და აგრესიის განვითარებას.

გასეირნების უფლება არა მხოლოდ ჰუმანური მოპყრობის ელემენტია, არამედ, პატიმრების ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის დაცვისა და რეაბილიტაციის პროცესის ნაწილია. მნიშვნელოვანია, რომ პატიმრებმა შეინარჩუნონ გარკვეული ხარისხის ნორმალური ცხოვრება, რათა გათავისუფლების შემდეგ საზოგადოებაში ინტეგრაცია მოახერხონ.

როგორც [redacted] შემთხვევაში, დადასტურდა რომ მათთვის თვითნებურად [redacted] გასეირნებისთვის გახკუთვნილი დროის მნიშვნელოვანი შეზღუდვა 07, 10, 12 და 13 იანვარს. [redacted] შემთხვევაში დროითმა დანაკლისმა მოცემულ 4 დღეში შეადგინა ჯამში 1 საათი და 6 წუთი (ანუ ოთხ დღეზე განკუთვნილი ჯამური სულ მცირე 4 საათიანი სეირნობის უფლებიდან მეოთხედზე მეტი დრო შეუმცირდა), ხოლო [redacted] შემთხვევაში (რომელიც 13 იანვარს არ იმყოფებოდა სასეირნო სივრცეში) – 37 წუთი. ამდენად, სავარაუდოდ, სახეზეა არა უმნიშვნელო, არამედ არსებითი ხასიათის დარღვევა.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ N8 პენიტენციური დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[26] სასეირნო პერიოდის განმავლობაში, ასევე შემდგომ ახლო საათებში, [redacted]ს და [redacted] არ ჰქონიათ რაიმე შეხვედრა/ვიზიტი პენიტენციური დაწესებულების შიგნით ან გარეთ. შესაბამისად, ის გარემოება, რომ გასეირნების ვადაზე ადრე დამთავრება რაიმე მსგავსი საჭიროებით იყო გამოწვეული, არ იკვეთება.

ის ფაქტი, რომ 06-15 იანვრის პერიოდში პატიმრებმა ისარგებლეს გასეირნების უფლებით და ზოგიერთ დღეს ისინი რამდენიმე წუთით მეტ ხანს გაიჭერეს სასეირნო სივრცეში, ცალსახად შისასალმებელია, თუმცა ვერ დააკომპენსირებს და გამოასწორებს ზემოხსენებულ დარღვევას სხვა დღეებში, ვინაიდან კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს გასეირნების დროის მინიმალურ ვადას. ხოლო, რაც შეეხება მაქსიმალურ ვადას, ეს მხოლოდ დადებითი შედეგის მქონე შესაძლოა იყოს და რაიმე საკანონმდებლო შეზღუდვა ამ კუთხით არ არსებობს.

აქვე, ხაზი უნდა გაესვას [redacted] და [redacted] მიერ მოწოდებულ ინფორმაციას - ორივე მათგანმა აღნიშნა, რომ მსგავსი დროითი დანაკლისი არ ხარმოადგენს იშვიათ გამონაკლისს, არამედ ის ზოგადი პრაქტიკაა N8 პენიტენციურ დაწესებულებაში, როგორც მათ, ისე სხვა პატიმრების მიმართ. ამრიგად ჩნდება იმის ცალსახა საჭიროება, რომ გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები აღნიშნული უფლებებთან შეუსაბამო პრაქტიკის შეცვლის მიზნით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი შემთხვევები გამოწვეული იქნება კონკრეტული თანამშრომლების პერსონალური თვითნებობით, უნდა იქნას მიღებული სამართლებრივი ზომები.

დასკვნა

გასეირნების უფლების კანონშეუსაბამო შეზღუდვა ნეგატიურ გავლენას ახდენს პატიმრების როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასა და მენტალურ ჯანმრთელობაზე. ამდენად, მიმაჩნია, რომ სახეზეა სავარაუდო სისტემური სახის პრობლემა, რომელიც აქტუალური იყო 2024 წელს და გრძელდება ასევე მიმდინარე კალენდარულ წელშიც. აუცილებელია, გატარდეს შესაბამისი ზომები N8 პენიტენციურ დაწესებულებაში, რომ პატიმრები, მათ შორის [redacted] და [redacted] სრულფასოვნად სარგებლობდნენ მათი გასეირნების უფლებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით, რათა N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარდეს შემოწმება პატიმრების მიერ გასეირნების უფლების პრაქტიკაში რეალიზებასთან მიმართებით და გამოვლენილ ხარვეზებზე შემჭიდროვებულ ვადებში გატარდეს ქმედითი ღონისძიებები.

გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

---

[1]იხ. სახალხო დამცველის წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2024, გვ. 108-109, < https://www.ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf >.

[4] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2025 წლის 24 იანვრის N20307/01 წერილი.
[5] სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 12 მარტის N25/2021 და 26 მარტის N25/2453 წერილები.
[6] N8 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 21 მარტის N78286/24 წერილი.
[7] N8 პენიტენციური დაწესებულების 04 აპრილის N92228/24 წერილი.
[8] იქვე.
[9] სახალხო დამცველის რწმუნებულის ვიზიტი N8 პენიტენციურ დაწესებულებაში 2025 წლის 13 მარტს.
[10] ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო, სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, თბილისი, 2009, 57.
[11] პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, 1955 წელს ჟენევა, წესი 21.
[12]ANANYEV and OTHERS v. RUSSIA, *42525/07*; *60800/08*, 2012.
[13]პენიტენციური კოდექსის 114-ე მუხლი; „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანების 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი.
[14] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის № 144 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება, მუხლი 1.
[15] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა“, „ე“.
[16] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის № 144 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი, მუხლი 1, პუნქტი 1.
[17] იქვე, მუხლი 1, პუნქტი 2.
[18] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 1.
[19] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 2.
[20] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 4.
[21] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 7.
[22] იქვე, მუხლი 3, პუნქტი 3.
[23] იქვე, მუხლი 3, პუნქტი 4.
[24] იქვე, მუხლი 6.
[25]Ananyev and Others v. Russia, Applications. 42525/07 and 60800/08, 2012.
[26] N8 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 21 მარტის N78286/24 წერილი.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი